ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 160

"14" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.068.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.068.01.003) მდებარე, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 1 ივლისის №20.687.835 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა №1-ში, მე-2 სართულზე, ბინა №3-ში მდებარე 71.16 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.068.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე სოფიო მელიქიშვილისთვის (პ/ნ: 01017030969) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე